



KA

„მე შემეფარდა დუბლინის პროცედურა, რას ნიშნავს ეს?“

B

ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის
მთხოვნელთათვის, რომელთაც შეეფარდათ
დუბლინის პროცედურა ევროკავშირის რეგლამენტის
N 604/2013 4 მუხლით

ეს ბროშურა მიიღეთ იმიტომ, რომ ამან სხვა დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში მოითხოვეთ საერთაშორისო დაცვა (თავშესაფარი) და ჩვენს ინსტიტუციას ააქვს საფუძველი იმის ფიქრის, რომ თქვენი თხოვნის განხილვაზე შესაძლებელია პასუხისმგებელი იყოს სხვა ქვეყანა.

იმას, თუ რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი თქვენი თხოვნის განხილვაზე, დავადგენთ ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურით, რომელიც რეგლამენტირებულია დუბლინის რეგლამენტით. ეს პროცედურა ცნობილია როგორც დუბლინის პროცედურა. ეს ბროშურა განკუთვნილია იმ კითხვებზე პასუხის გასაცემად რომელიც თქვენ გაგიჩნდებათ ამ პროცედურასთან დაკავშირებით.

თუ თქვენთვის რაიმე გაურკვეველია ამ ბროშურაში, მიმართეთ ჩვენი ინსტიტუციის წარმომადგენლებს.

ეს ბროშურა საინფორმაციო ხასიათისაა. მისი მიზანია მიაწოდოს საერთაშორისო დაცვის მომთხოვნს შესატყვისი ინფორმაცია დუბლინის პროცედურაზე. ბროშურა არ ქმნის და არ იძლევა უფლებებს, ის სამართლებრივად არ ადგენს და არ ავალდებულებს. დუბლინის პროცედურის თანახმად სახელმწიფოს და პიროვნების უფლებები და მოვალეობები დადგენილია რეგლამენტში N 604/2013.

©European Union 2014

Reproduction is authorised. For any use or reproduction of individual photos, permission must be sought directly from the copyright holders.



დუბლინის ქვეყნები არის ევროკავშირის წევრი ყველა 28 ქვეყანა (ირლანდია (IE), ავსტრია (AT), ბელგია (BE), ბულგარეთი (BG), ჩეხეთი (CZ), დანია (DK), ესტონეთი (EE), საბერძნეთი (EL), ესპანეთი (ES), იტალია (IT), დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეო (UK), კვიპროსი (CY), ხორვატია (HR), ლატვია (LV), ლიტვა (LT), პოლონეთი (PL), ლუქსემბურგი (LU), მალტა (MT), ჰოლანდია (NL), პორტუგალია (PT), საფრანგეთი (FR), რუმინეთი (RO), სლოვაკეთი (SK), სლოვენია (SL), ფინეთი (FI), შვედეთი (SE), უნგრეთი (HU), გერმანია (DE)) და დუბლინის რეგლამენტთან ასოცირებული 4 ქვეყანა (ისლანდია (IS), ლიხტენშტეინი (LI), ნორვეგია (NO), და შვეიცარია (CH)).

„რატომ ვიღებ მონაწილეობას დუბლინის პროცედურაში?“

დუბლინის რეგლამენტი მოქმედებს გეოგრაფიულ რეგიონში რომელიც მოიცავს 32 ქვეყანას. „დუბლინის რეგლამენტის ქვეყნები“ არის შემდეგი სახელმწიფოები: ირლანდია, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, კვიპროსი, ხორვატია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, პორტუგალია, საფრანგეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ფინეთი, შვედეთი, უნგრეთი, გერმანია და დუბლინის რეგლამენტთან ასოცირებული 4 ქვეყანა ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია.

დუბლინის პროცედურით დგინდება, თუ რომელი ქვეყანა თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ამ ქვეყნიდან შეძლება გაგამგზავრონ იმ ქვეყანაში, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი თხოვნის განხილვაზე.

დუბლინის პროცედურით მიიღწევა ორი მიზანი:

- უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ თქვენი თხოვნა თავშესაფრის შესახებ მივიდეს იმ ქვეყნის შესაბამის ინსტიტუციებამდე, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი თხოვნის განხილვაზე.
- უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ თავშესაფარი არ მოითხოვოთ რამოდენიმე ქვეყანაში, რაც მოგცემთ საშუალებას გაიხანგრძლივოთ თქვენი ყოფნა დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებში.

ხელმძღვანელობა დეტალურად არ განიხილავს თქვენს თხოვნას იქამდე, სანამ არ გადაწყდება, თუ რომელმა ქვეყანამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თქვენს თხოვნასთან დაკავშირებით.

გახსოვდეთ: არ შეგიძლიათ გადახვიდეთ სხვა დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში. იმ შემთხვევაში, თუ გადახვედით სხვა დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში, იქნებით დაბრუნებული ან აქ, ან იმ ქვეყანაში რომელშიც ადრე მოითხოვეთ თავშესაფარი. თუ თქვენ უარს განაცხადებთ აქ მოთხოვნილ თავშესაფარზე, პასუხისმგებელი ქვეყანა არ შეიცვლება. თუ შეეცდებით მიმალვას ან გაქცევას, არის დიდი ალბათობა იმის, რომ იქნებით დაკავებული.



თუ ადრე იყავით რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში და აქ ჩამოსვლამდე გასული იყავით დუბლინის რეგლამენტის ქვეყნების რეგიონიდან, ვალდებული ხართ გვითხრათ ამის შესახებ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამან შეიძლება იმოქმედოს გადაწყვეტილებაზე, თუ რომელი ქვეყანა პასუხისმგებელი თხოვნის განხილვაზე. თქვენ შეიძლება მოგთხოვონ აჩვენოთ მტკიცებულება, რომ რაღაც დრო გატარებული გაქვთ არა დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებში; მაგალითად ეს შეიძლება იყოს ბეჭედი პასპორტში, გადაწყვეტილება თქვენი დაბრუნების ან დეპორტაციის შესახებ ან/და ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ ცხოვრობდით და მუშაობდით იმ ქვეყანაში რომელიც არ მიეკუთვნება დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებს.

„რომელი ინფორმაციის მიწოდებაა აუცილებელია ინსტიტუციისთვის? როგორ შემიძლება მე მათ განვუმარტო ეს ინფორმაცია?“

თქვენ გაგესაუბრებიან იმ მიზნით, რათა დადგინდეს, თუ რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი თქვენი თავშესაფრის თხოვნის განხილვაზე. გასაუბრების დროს თქვენ განგიმარტავთ დუბლინის პროცედურას. თქვენ უნდა მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენი ოჯახის წევრისა ან ნათესავის შესაძლო ყოფნის შესახებ რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში, ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც თქვენის აზრით დაგვეხმარება პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენაში (შემდგომში ვრცელდება ახსნილი თუ რომელი ინფორმაციაა მნიშვნელოვანი). ასევე უნდა წარმოადგინოთ ყველა თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას.

მოგვაწოდეთ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რათა დაგვეხმაროთ იმის დადგენაში თუ რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი თავშესაფრის შესახებ თქვენი თხოვნის განხილვაზე.

თქვენ გაგესაუბრებიან იმ ენაზე, რომელიც თქვენთვის კარგად ან მეტნაკლებად გასაგებია.

თუ არ გესმით საუბრის ენა, მაშინ შეგიძლიათ დასახმარებლად მოითხოვოთ თარჯიმანი. თარჯიმანი ვალდებულია თარგმნოს მხოლოდ ის, რასაც იმახით თქვენ და თქვენი მოსაუბრე. თარჯიმანს არ აქვს უფლება დაამატოს და გადმოცეს თავისი პირადი აზრი. თუ არ გესმით თარჯიმნის, მაშინ ვალდებული ხართ ამის შესახებ გვითხრათ ან ჩვენ ან თქვენს ადვოკატს.

ეს საუბარი იქნება კონფიდენციალური. ეს ნიშნავს, რომ არანაირი თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, თავშესაფრის თხოვნის მიზეზების აღმწერი ფაქტების ჩათვლით, არ იქნება გადაცემული პიროვნებებისა და ინსტიტუციებისთვის თქვენს ქვეყანაში, სადაც შესაძლოა რაიმე ზიანი მოგადგეთ თქვენ ან/და იქ მყოფი თქვენი ოჯახის წევრებს.

თქვენ შეიძლება არ გაგესაუბრონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ინფორმაცია უკვე წარმოდგენილი გაქვთ სხვა ფორმით, მას შემდეგ, რაც იყავით ინფორმირებულნი დუბლინის პროცედურისა და იმის შესახებ თუ რა შეიძლება მოხდეს ისეთი მდგომარეობისას, რომელშიც თქვენ ხართ. თუ არ გაგესაუბრენ, შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენთვის იმ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა წერილობითი ფორმით, რომელიც იქნება

მნიშვნელოვანი პასუხისმგებელი ქვეყნის დასადგენად.

„როგორ ადგენს სახელმწიფო ინსტიტუცია იმ ქვეყანას, რომელიც ვალდებულია განიხილოს ჩემი თხოვნა თავშესაფრის შესახებ?“

არის სხვადასხვა მიზეზი, რომლის გამოც სახელმწიფო შესაძლებელია პასუხისმგებელი იყოს თქვენი თხოვნის განხილვაზე. ეს მიზეზები სამართლებრივ აქტებში მოყვანილია მნიშვნელობის რიგითობით. თუ ერთი მიზეზი არ არის აქტუალური, მაშინ იქნება გათვალისწინებული შემდეგი და ასე შემდეგ.

ეს მიზეზები დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან (მნიშვნელობის რიგითობა):

- გყავთ რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში ოჯახის წევრი (მეუღლე, ბავშვი 18 წლამდე), რომელთაც შეეფარდათ საერთაშორისო დაცვა ან არის თავშესაფრის მომთხოვნი;
- მნიშვნელოვანია მანამდე მოახდინოთ ჩვენი ინფორმირება დუბლინის ქვეყნებში თქვენი ოჯახის წევრების არსებობის შესახებ, სანამ იქნება მიღებული პირველი გადაწყვეტილება თქვენი თავშესაფრის თხოვნასთან დაკავშირებით. თუ თქვენ გსურთ თქვენი ოჯახის წევრებთან შეერთება იმ ქვეყანაში, მაშინ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრმა ეს სურვილი წერილობითი ფორმით უნდა გამოხატოს.
- თქვენზე გაცემული იყო სხვა რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყნის ვიზა ან გქონდათ საბუთი, რომელიც იძლეოდა ესეთ ქვეყანაში ცხოვრების უფლებას;
- სხვა რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში აღებულ იქნა თქვენი თითის ანაბეჭდები (და შენახული იქნა ევროდაკის¹⁾ მონაცემთა ბაზაში);
- არის მონაცემები, რომ იყავით სხვა რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში ან მგზავრობდით რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყნის გავლით, თუმცა იქ არ იქნა აღებული თქვენი თითის ანაბეჭდები.



1) შესახებ უფრო ვრცლად ინფორმაცია მოყვანილია ბროშურაში „მე მოვითხოვე თავშესაფარი ევროკავშირში. რომელი ქვეყანა განიხილავს ჩემს თხოვნას?“, მერვე გვერდზე

„თუ მე ვარ დამოკიდებული ვინმეს მოვლაზე ან ვინმე არის დამოკიდებული ჩემზე?“

თქვენ შეგიძლიათ შეუერთდეთ იმავე ქვეყანაში თქვენს დედას, მამას, შვილს, ძმას ან დას, თუ შესრულებულია შემდეგი მოთხოვნები:

- თუ რომელიმე მათგანი კანონიერად ცხოვრობს დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში;
- რომელიმე თქვენთაგანი არის ფეხმძიმედ, ან გყავთ ჩვილი, ან რომელიმე თქვენთაგანი არის მძიმე ავადმყოფი, დაავადებულია მძიმე სენით ან არის მოხუცი;
- ერთ-ერთი არის მეორის მომვლელი.

ქვეყანამ, რომელშიც ცხოვრობს თქვენი შვილი, და, ძმა, დედა ან მამა, როგორც წესი უნდა აიღოს თავის თავზე თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვის პასუხისმგებლობა, თუ თქვენს სამშობლოში არსებობდა ნათესაობრივი კავშირი. ასევე თქვენ მოგთხოვენ მიუთითოთ წერილობით, რომ გინდათ გაერთიანება.

ეს თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მაშინ, როდესაც უკვე იმყოფებით იმ ქვეყანაში სადაც იმყოფება თქვენი შვილი, და, ძმა, დედა ან მამა, ან მაშინ, თუ იმყოფებით სხვა ქვეყანაში სადაც ისინი არ მყოფებიან. მეორე შემთხვევა ნიშნავს იმას, რომ თქვენ მოგიწევთ გამგზავრება იმ ქვეყანაში სადაც იმყოფებიან თქვენი შვილი, და, ძმა, დედა ან მამა, იმ შემთხვევის გამოკლებით, თუ თქვენ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეგიძლიათ ხანგრძლივი მოგზაურობა.

ამის გარდა, თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვის პროცედურის დროს თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ნათესაებთან შეერთება ჰუმანიტარული, ოჯახური ან კულტურული საბაზით. თუ თქვენი თხოვნა დაკმაყოფილდება, მაშინ თქვენ მოგიწევთ გამგზავრება იმ ქვეყანაში სადაც იმყოფება თქვენი ნათესავი. ასეთ შემთხვევაში თქვენ ასევე მოგთხოვენ დაწეროთ წერილობითი თანხმობა. მთავარია, რომ ჩვენ შეგვატყობინოთ იმ ჰუმანიტარული საბაზის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედება თქვენი ამ თხოვნის განხილვას ან აქ, ან სხვა ქვეყანაში.

ნათესაური, ერთიმეორეზე დამოკიდებულების ან ჰუმანიტარული საბაზის მოყვანის შემთხვევაში თქვენ შეიძლება მოგთხოვონ განმარტება

ან დამადასტურებელი ფაქტები, რომელიც დაადასტურებს თქვენს საბაბს.

„თუ ვარ ავადმყოფი ან გამაჩნია განსაკუთრებული მოთხოვნები?“

თქვენთვის შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით ჩვენ უნდა ვიცოდეთ ყველა ის განსაკუთრებული მოთხოვნები, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ თქვენი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. კერძოდ:

- ხართ ინვალიდი,
- ფეხმძიმედ ხართ,
- დაავადებული ხართ მძიმე სენით,
- იყავით წამების, გაუპატიურების ან სხვა მძიმე ფსიქოლოგიური, სექსუალური თუ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი.

თუ მოგვაწვდით თქვენს შესახებ სამედიცინო ინფორმაციას და იქნება მიღებული გადაწყვეტილება თქვენი სხვა ქვეყანაში გაგზავნის შესახებ, ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან უფლებას გადავცეთ ეს სამედიცინო ინფორმაცია იმ ქვეყანას, რომელშიც თქვენ იქნებით გაგზავნილი. თუ თქვენი სურვილი იქნება, რომ სამედიცინო ინფორმაცია არ იქნას გადაცემული, ინფორმაცია არ გადაიცემა; თუმცა ეს არ იქნება თქვენი იმ ქვეყანაში გაგზავნის ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც თქვენი თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი. იქონიეთ მხედველობაში, რომ თუ თქვენ არ მოგვცემთ უფლებას გადავცეთ თქვენი სამედიცინო ინფორმაცია სხვა ქვეყანას, იქ ვერ შეძლებენ დააკმაყოფილონ თქვენი განსაკუთრებული მოთხოვნები.

მიაქციეთ ყურადღება, რომ სამედიცინო ინფორმაციასთან, სრული კონფიდენციალურობის პირობებში, იმუშავებენ სპეციალისტები, რომლებიც ვალდებული არიან არ გაახმაურონ ეს ინფორმაცია.

„რა დრო ჭირდება იმ გადაწყვეტილების მიღებას, თუ რომელი ქვეყანა განიხილავს ჩემს თხოვნას თავშესაფრის შესახებ და რამდენი ხანი განიხილება თხოვნა?“

თუ ჩვენი ქვეყნის ინსტიტუციის ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნა ჩვენი განსახილველია, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ ამ ქვეყანაში, ხოლო თქვენი თხოვნა განიხილება აქ.

„რამოხდება, თუ დადგინდება, რომ ჩემი თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელია არა ის ქვეყანა, რომელშიც ვიმყოფები, არამედ სხვა?“

თუ ვიფიქრებთ, რომ თქვენი თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელია სხვა ქვეყანა, მაშინ მოვთხოვთ იმ ქვეყანას გადაიბაროს პასუხისმგებლობა სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც აქ წარმოადგენთ თხოვნას.

თუ პასუხისმგებელი ქვეყანა დადგინდება თქვენი თითის ანაბეჭდებით, მაშინ თხოვნა გაიგზავნება ორი თვის განმავლობაში, დაწყებული იმ მომენტიდან, როდესაც მიღებული იქნება ინფორმაცია „ევროდაკ“-ს სისტემიდან.

- თუ თქვენ პირველად ითხოვთ თავშესაფარს დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში, მაგრამ არის საფუძველი ჩაითვალოს, რომ თქვენი თხოვნა თავშესაფარის შესახებ უნდა განიხილოს დუბლინის რეგლამენტის სხვა სახელმწიფომ, ჩვენ მივმართავთ იმ ქვეყანას თხოვნით, რომ თქვენ შემთხვევაში „აიღოს პასუხისმგებლობა თავის თავზე“.

ის სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ გაუგზავნით ასეთ თხოვნას, წერილის მიღების მომენტიდან ორი თვის განმავლობაში ვალდებულია გაგცეს პასუხი. თუ ამ დროის განმავლობაში პასუხი არ იქნა მიღებული, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყანამ აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა თქვენი თხოვნის განხილვაზე.

- თუ თქვენ უკვე მოთხოვნილი გაქვთ თავშესაფარი სხვა დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში, არა იქ, რომელშიც ამჟამად იმყოფებით, მაშინ მოვითხოვთ, რომ იმ ქვეყანამ მიგიღოთ უკან.

ის სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ გაუგზავნით ასეთ თხოვნას, ვალდებულია გაგცეს პასუხი ერთი თვის განმავლობაში წერილის მიღების მომენტიდან ან ორი კვირის განმავლობაში, თუკი თხოვნა ეფუძნება „ევროდაკ“-ის მონაცემებს. თუ ამ დროის განმავლობაში პასუხი არ იქნა მიღებული, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყანამ აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა თქვენი თხოვნის განხილვაზე და თანახმაა მიგიღოთ უკან.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ მოითხოვთ თავშესაფარი ამ ქვეყანაში, ხოლო

სხვა სახელმწიფოში თქვენი მოთხოვნა თავშესაფრის შესახებ უარყოფილ იქნა საბოლოო გადაწყვეტილებით, ჩვენ შეგვიძლია გავგზავნოთ თხოვნა შესაბამის ქვეყანაში, რომ მან უკან მიგიღოთ, ან დავიწყოთ თქვენი სამშობლოში, რომელიმე მესამე ქვეყანაში ან იმ ქვეყანაში გაგზავნის პროცედურა რომელშიც მუდმივად ცხოვრობთ.

იმ შემთხვევაში, თუ სხვა ქვეყანა თანახმაა თქვენი თხოვნის განხილვაზე აიღოს პასუხისმგებლობა, შეგატყობინებთ ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას:

- არ განვიხილოთ თქვენი თხოვნა ამ ქვეყანაში თქვენთვის თავშესაფრის მინიჭების შესახებ
- გადაგზავნილ იქნათ პასუხისმგებელ ქვეყანაში.

თქვენ გადაგემენ ექვსი თვის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც სხვა სახელმწიფო აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას; ან თუ მოისურვებთ, რომ გაასაჩივროთ გადაწყვეტილება, ექვსი თვის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ გაგზავნილ იქნათ იმ ქვეყანაში. ეს ვადები შესაძლებელია გაგრძელებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაექცევით ამ ქვეყნის ინსტიტუციას ან იქნებით პატიმრობაში.

თუ ამ ქვეყანაში დუბლინის პროცედურის ჩარჩოებში თქვენ ხართ დაკავებული/ დაკეტილი ცენტრში, მაშინ მოქმედებს უფრო მოკლე ვადები (უფრო ვრცლად ამის შესახებ ინფორმაციას გაეცნობით იმ ნაწილში რომელიც ეხება დაკავებას).

პასუხისმგებელი ქვეყანა თქვენ მოგექცევით როგორც თავშესაფრის მომთხოვნს და თქვენ გექნებათ საშუალება ისარგებლოთ შესაბამისი უფლებებით. თუ ადრე თქვენ არ გაქვთ მოთხოვნილი თავშესაფარი იმ ქვეყანაში, ამის შესაძლებლობა მოგეცემათ იქ ჩასვლის შემდეგ.

„თუ არ ეთანხმები გადაწყვეტილებას ჩემი სხვა ქვეყანაში გაგზავნის შესახებ?“

თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ არ ეთანხმებით გადაწყვეტილებას, რომ გადაცემულ იქნათ სხვა დუბლინის რეგლამენტის ქვეყანას. ამ პროცესს ეწოდება „აპელაცია“ ან „გადახედვა“. აპელაციის ან საქმის გადახედვის

პროცესში შეგიძლიათ მოითხოვოთ გადავადდეს თქვენი სხვა ქვეყანაში გადაყვანა.

ინფორმაციის მოძიება იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიმართოთ, რათა გაასაჩივროთ გადაწყვეტილება ამ ქვეყანაში, შესაძლებელია ბროშურის ბოლოში.

აქედან სხვა ქვეყანაში თქვენი გადაყვანის შესახებ ოფიციალური გადაწყვეტილების მიღებიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში შეგიძლიათ აპელაციით მიმართოთ ვილნიუსის საოლქო ადმინისტრაციულ სასამართლოს. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება გაასაჩივროთ (შეიტანოთ აპელაცია ან მოითხოვოთ საქმის გადახედვა) დათქმულ ვადებში.

14 დღის განმავლობაში შეგიძლიათ წარმოადგინოთ თხოვნა სხვა ქვეყანაში თქვენი გადაყვანის გადადების შესახებ, სანამ განიხილება აპელაცია (ასეთი თხოვნა უნდა წარმოადგინოთ აპელაციასთან ერთად). სასამართლო ან არბიტრაჟი ასეთ თხოვნაზე გადაწყვეტილებას მიიღებს უმოკლეს ვადებში. თუ თქვენ უარს გეტვიან გადაყვანის გადადების შესახებ, უარი იქნება მოტივირებული.

პროცედურის მიმდინარეობისას თქვენ გაქვთ იურიდიული დახმარების უფლება, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა გაქვთ გამოიყენოთ ლინგვისტური (თარჯიმნის) დახმარება. იურიდიული დახმარება ნიშნავს იმას, რომ თქვენ გაქვთ უფლება იურისტის დახმარებაზე, რომელიც მოამზადებს საჭირო დოკუმენტებს და იქნება თქვენი წარმომადგენელი სასამართლოში.

თუ არ გაქვთ ხარჯების დაფარვის შესაძლებლობა, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ ესეთი დახმარება გაგწიოთ უფასოდ. ბროშურის ბოლოს შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც შეუძლიათ იურიდიულ დახმარების გაწევა.

„შეიძლება თუ არა, რომ დამაკავონ?“

შესაძლებელია იყოს დაკავების სხვადასხვა მიზეზები, თუმცა დუბლინის პროცედურით თქვენ დაგაკავებენ მაშინ თუ ჩვენი ხელმძღვანელობა ჩათვლის, რომ არსებობს დიდი რისკი იმის, რომ თქვენ გაიქცევით რათა არ გადაგცენ სხვა დუბლინის რეგლამენტის ქვეყანას.

BERLIN

644 m.

(TEMPELHOF)

AMSTERDAM

284 m.

BRUSSELS (MELSBROEK)

288 m.

463 km

ZURICH

(KLOTZ)

938

508 m.

ROME

(CIVIL)

1025 m.

LONDON AIR

86 m.

PARIS

„რას ნიშნავს ეს?“

თუ ჩვენი ხელმძღვანელობა ჩათვლის, რომ არსებობს დიდი რისკი იმის, რომ თქვენ გაიქცევით მაგალითად იმიტომ, რომ ადრე უკვე მოიქეცით ესე, ან იმიტომ, რომ არ ასრულებთ ვალდებულებას გამოცხადდეთ გამოძახებისას სათანადო სტრუქტურებში და ასე შემდეგ, თქვენ შეიძლება დაგაკაონ დუბლინის პროცედურის მიმდინარეობისას ნებისმიერ მომენტში. ის მიზეზები, რომლის გამოც თქვენ შეიძლება იქნათ დაკავებული, დადგენილია კანონით. დაკავების საფუძველის მიზეზი არ შეიძლება იყოს არანაირი სხვა, გარდა კანონით გათვალისწინებულისა.

თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ წერილობითი ინფორმაცია თქვენი დაკავების მიზეზებზე და ასევე გაქვთ უფლება გაასაჩივროთ დაკავების ორდერი. თქვენ ასევე გაქვთ უფლება იურიდიულ დახმარებაზე იმ შემთხვევაში, თუ მოისურვებთ დაკავების ორდერის გასაჩივრებას.

თუ თქვენ დაკავებული ხართ დუბლინის პროცედურის მიმდინარეობისას, პროცედურის დროის ჩარჩოები თქვენთვის იქნება შემდეგნაირი:

- თქვენს მიერ თავშესაფრის შესახებ მოწოდებული თხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში ჩვენ გაუგზავნით სხვა ქვეყანას მოთხოვნას აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა განხილოს თქვენი თხოვნა.
- ის ქვეყანა, რომელსაც ჩვენ გადაუგზავნით ასეთ თხოვნას, ვალდებულია გაგვცეს პასუხი წერილის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- პასუხისმგებელი ქვეყნის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი კვირის განმავლობაში თქვენ უნდა იქნათ გადაცემული. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაასაჩივრებთ გადაყვანის გადაწყვეტილებას, მაშინ ექვსი კვირის ათვლა დაიწყება იმ დღიდან, რომელ დღესაც სასამართლო, არბიტრაჟი ან შესაბამისი ინსტიტუცია გადაწყვეტს, უსფრთხოა თუ არა თქვენი გადაყვანა პასუხისმგებელ ქვეყანაში, სანამ განიხილება თქვენი აპელაცია.

თუ ჩვენი მხრიდან თხოვნის გაგზავნის ან თქვენი გადაცემის ვადები არ არის დაცული, მაშინ დაკავება, რომელიც განხორციელდა დუბლინის რეგლამენტის ფარგლებში თქვენი სხვა ქვეყნისთვის გადაცემის მიზნით, შეწყდება; ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ იქნება უბრალო ვადები, რომელიც ზევით არის მოყვანილი.

„რა მოუვა იმ პირად ინფორმაციას, რომელსაც მე წარმოგიდგენთ, და როგორ ვიქნები დარწმუნებული რომ ის არ იქნება გამოყენებული არასწორად?“

დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებმა ის ინფორმაცია, რომელიც თქვენ გაქვთ მოწოდებული, დუბლინის პროცედურის მიმდინარეობისას შესაძლებელია გაუცვალონ ერთმანეთს დუბლინისა და „ევროდაკი“-ს რეგლამენტის შესრულების მიზნით. დუბლინის პროცედურის მიმდინარეობისას თქვენ გაქვთ უფლება დაიცვათ ის ინფორმაცია, რომელიც გაქვთ მოწოდებული თქვენზე, თქვენ ოჯახურ მდგომარეობაზე და ასე შემდეგ. მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი მიზნებისთვის.

თქვენ გაქვთ უფლება მიწვდომა გქონდეთ:

- მონაცემებთან, რომელიც თქვენთანაა დაკავშირებული. გაქვთ უფლება მოითხოვოთ ისეთი მონაცემები, როგორიცაა „ევროდაკი“-ს სისტემის მონაცემები, მოითხოვოთ შესწორება თუ ის არასწორია, ან მოითხოვოთ მისი ამოშლა, თუ ის მუშავდება უკანონოდ;
- იმ ინფორმაციასთან, თუ როგორ უნდა მოითხოვოთ, რომ მონაცემები „ევროდაკი“-ს მონაცემების ჩათვლით იქნას შეცვლილი ან წაშლილი. იმ კომპეტენტური ორგანოების საკონტაქტო ინფორმაციასთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან თქვენს მიმართ დუბლინის პროცედურის ჩატარებაზე და ასევე მონეცემთა დაცვის ნაციონალური ინსტიტუციების საკონტაქტო ინფორმაციასთან, რომლებიც არიან პასუხისმგებელნი განიხილონ განცხადება პირადი მონაცემების დაცვის შესახებ.

თუ თქვენ გსურთ გაასაჩივროთ გადაწყვეტილება და არ შეგიძლიათ იურიდიული დახმარების ხარჯების დაფარვა, გთხოვთ მოგემართეთ:

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მიგრაციის დეპარტამენტი

ლ. საპიეგოს ქ. N 1, 10312 ვილნიუსი

ტელ. +370 5 271 7112

ელ.ფოსტა: md.rastine@vrm.lt

<http://www.migracija.lt>

